# თანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 04 მარტი 2021 წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „ბსუ“), წარმოდგენილი რექტორის, ასოც. პროფესორის **მერაბ ხალვაშის** მიერ და მეორე მხრივ **„ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“** ს/კ **245608597** (შემდეგში **,,საჯარო ბიბლიოთეკა“**), წარმოდგენილი დირექტორის **თეონა ბერიძის** მიერ (შემდეგში ,,მხარეები“), თანხმდებიან პროფესიული განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

**მხარეთა უფლება–მოვალეობები:**

1. **„საჯარო ბიბლიოთეკა“** უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **,,საბიბლიოთეკო საქმის“** (პროგრამა - წინამდებარე მემორანდუმის **დანართი 1**) პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის გავლას, მათი პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცების მიზნით:

   ა) მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით შეთანხმებული პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის ფარგლებში ( 20 პროფესიული სტუდენტი).

   **ბ)** წინამდებარე მემორანდუმში აღნიშნული პროგრამის **მოდულები** (წინამდებარე მემორანდუმის დანართი 2; დანართი 3);

2. **მხარეები:**

   ა) დარგობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბების მიზნით, მონაწილეობას მიიღებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და ა. შ.);

   ბ) უზრუნველყოფენ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ნორმებს, როგორც უნივერსიტეტის, ასევე **„საჯარო ბიბლიოთეკის“** ბაზაზე;

   გ) დაგეგმავენ და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო ტრენინგებს, საინფორმაციო შეხვედ-რებს და სხვა;

   დ) მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ასახავენ პროფესიულ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების და დადასტურებების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხებს.

3. წინამდებარე მემორანდუმის დანართები შეადგენენ ამ მემორანდუმისა და შემდეგში მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მემორანდუმის მოქმედების ვადა და მხარეთა რეკვიზიტები:

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერისთანავე და ძალაშია მის გაუქმებამდე.

„ბსუ“

(მისამართი:

ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35/რუსთაველის N32)

მერაბ ხალვაში

რექტორი, ასოცირებული პროფესორი

„ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“

მისამართი: ქ. ბათუმი ვაჟა ფშაველას ქ. 21

დირექტორი:

თეონა ბერიძე

ბსუ-ს და „ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ
ბათუმის
საჯარო ბიბლიოთეკას“ შორის 2021 წლის 04 მარტი
გაფორმებული მემორანდუმი
დანართი № 1

**დამტკიცებულია**

**ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 02 აპრილის**

**N06-01/26 დადგენილებით**

(ცვლილება შევიდა ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის
09 აგვისტოს N69 დადგენილებში)

# საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
# იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
# ,,საბიბლიოთეკო საქმე“


**საკონტაქტო ინფორმაცია:** ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32

**ტელეფონი:** +995(422) 27–17–80

**ელ-ფოსტა:** info@bsu.edu.ge

**პროგრამის ხელმძღვანელი:** ფილოლოგიის აკადემიური  დოქტორი გურანდა შამილიშვილი



**ბათუმი, 2020**

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ საბიბლიოთეკო საქმე“

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბიბლიოთეკო საქმე / Library Work

2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული პროგრამა „საბიბლიოთეკო საქმე“ 03202-პ

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საბიბლიოთეკო საქმეში / Secondary Vocational Qualification in Library Work

   აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - საბიბლიოთეკო, საარქივო კვლევები და ინფორმაციის მართვა, კოდი - 0322. აღმწერი - *„შეისწავლის ინფორმაციული კოლექციების შერჩევის, შეძენის, ორგანიზებისა და შენახვის მეთოდებს და ხელს უწყობს ინფორმაციის გამოყენებას. მათ შორის მოიცავს მუზეუმისა და ბიბლიოთეკების შესწავლას.”*

4. მიზანი

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, შესაძლებლობას მისცეს პირს, მიიღოს ფართო განათლება და ძირითადი ცოდნა საბიბლიოთეკო სფეროში; აგრეთვე, განუვითაროს ის აუცილებელი უნარები და კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა როგორც შრომის ბაზარზე გასასვლელად, ასევე სწავლის გასაგრძელებლად, როგორც ფორმალურ, ისე, არაფორმალურ საგანმანათლებლო სისტემებში.

5. დაშვების წინაპირობა:
   - სრული ზოგადი განათლება

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

   საბიბლიოთეკო საქმეში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის ბიბლიოთეკებში, ქალაქის, სოფლის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების ბიბლიოთეკაში.

   - ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 71.1; 71.11; 71.11.0
   - დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 2621; 2622

7. სტრუქტურა და მოდულები

   საბიბლიოთეკო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აერთიანებს 5 ზოგად მოდულს ჯამური 15 კრედიტის ოდენობით, 10 პროფესიულ მოდულს ჯამური 71 კრედიტის ოდენობით და 3 არჩევით მოდულ ჯამური 8 კრედიტის ოდენობით. საბიბლიოთეკო საქმეში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 94 კრედიტი.

**პროგრამის მოცულობა:** ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 94 კრედიტი; არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 124 კრედიტი;

**პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა:** ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 16 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 21 სასწავლო თვე

| ზოგადი მოდულები | | |
|---|---|---|
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1 | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | 3 |
| 2 | რაოდენობრივი წიგნიერება | 2 |
| 3 | ინფორმაციული წიგნიერება 1 | 3 |
| 4 | მეწარმეობა 2 | 2 |
| 5 | უცხოური ენა | 5 |
| | ჯამი | 15 |
| **პროფესიული მოდულები** | | |
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1 | გაცნობითი პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი | 2 |
| 2 | საწარმოო პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი | 12 |
| 3 | პრაქტიკული პროექტი ბიბლიოთეკარისთვის - საბიბლიოთეკო მომსახურება და საბიბლიოთეკო კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები | 6 |
| 4 | საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზება | 3 |
| 5 | ფონდის დაკომპლექტება | 5 |
| 6 | ფონდის მართვა | 10 |
| 7 | ფონდის დაცვა | 7 |
| 8 | საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა | 10 |
| 9 | საბიბლიოთეკო მომსახურება | 8 |
| 10 | კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები | 8 |
| | ჯამი | 71 |
| **არჩევითი მოდულები** | | |
| № | მოდულის დასახელება | კრედიტი |
| 1 | რუსული ენა | 4 |
| 2 | ინტელექტუალური თავისუფლება ბიბლიოთეკებში | 2 |
| 3 | საბიბლიოთეკო მარკეტინგი | 2 |
| | ჯამი | 8 |

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები**

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

1. ბიბლიოთეკის სივრცის ორგანიზებას;
2. ფონდის დაკომპლექტებას;
3. ფონდის მართვას;
4. ფონდის დაცვას;
5. საცნობარო-საინფორმაციო მუშაობას;
6. საბიბლიოთეკო მომსახურებას;

7. კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას.

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბიბლიოთეკო საქმე" განხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე და პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ობიექტებზე.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პროფესიულ სტუდენტს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს/მსმენელეს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა)*, რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების

ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეროგატივას.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის

შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. ქართული ენა A2 და B1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების დაშვების წინაპირობაა. მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები მიღწეულად ჩაეთვლება პირს, რომელმაც ერთიანი პროფესიული ტესტირება გაიარა ქართულ ენაზე ან რომლის ჩარიცხვის პროცედურები ერთიანი პროფესიული ტესტირების გარეშე, განხორციელდა ქართულ ენაზე.

,,მოდულის, ქართული ენა A2 და ქართული ენა B2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება მოიპოვეს ,,პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება #152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით"

14. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონი;
- „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების. კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის 69/ნ ბრძანება;

პროფესიული სტანდარტი:

- ბიბლიოთეკარი

კლასიფიკატორები:

- საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი - ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016 წ.)
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO)
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCED)

15. დანართები:

დანართი 1. სასწავლო გეგმა

დანართი 2. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

დანართი 3. ინტერპერსონალური კომუნიკაცია

დანართი 4. რაოდენობრივი წიგნიერება

დანართი 5. ინფორმაციული წიგნიერება 1

დანართი 6. მეწარმეობა 2

დანართი 7. უცხოური ენა (ინგლისური ენა)

დანართი 8. ქართული ენა A2

დანართი 9. ქართული ენა B2

დანართი 10.გაცნობითი პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი

დანართი 11. საწარმოო პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი

დანართი 12. პრაქტიკული პროექტი ბიბლიოთეკარისთვის - საბიბლიოთეკო მომსახურება და საბიბლიოთეკო კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები

დანართი 13. საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზება

დანართი 14. ფონდის დაკომპლექტება

დანართი 15. ფონდის მართვა

დანართი 16. ფონდის დაცვა

დანართი 17. საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა

დანართი 18. საბიბლიოთეკო მომსახურება

დანართი 19. კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები

დანართი 20. რუსული ენა

დანართი 21. ინტელექტუალური თავისუფლება ბიბლიოთეკებში

დანართი 22. საბიბლიოთეკო მარკეტინგი

დანართი 23. სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი

ბსუ-ს და „ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის
საჯარო ბიბლიოთეკას“ შორის 2021 წლის 04 მარტი
გაფორმებული მემორანდუმი
დანართი № 2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

**საბიბლიოთეკო საქმე**

მოდული

# გაცნობითი პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი

მოდულის სტატუსი: სავალდებულო

ბათუმი, 2020

| | |
|---|---|
| სარეგისტრაციო ნომერი: | 0320201 |
| სახელწოდება: | გაცნობითი პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი |
| გამოქვეყნების/ცვლილების თარიღი: | 28.07.2015/31.03.2020/24.04.2020 |
| მოცულობა კრედიტებში: | 2 |

1. ზოგადი ინფორმაცია:

მოდულზე დაშვების წინაპირობა:

| | |
|---|---|
| მოდულის აღწერა: | მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: |
| | პროფესიის შესახებ ინფორმაციის მართვა; კონკრეტულ პროფესიაში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპების აღწერა; პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნების დასახვა და განხორციელება |

2. სტანდარტული ჩანაწერები

| სწავლის შედეგები | შესრულების კრიტერიუმები | კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები | შეფასების მიმართულება |
|---|---|---|---|
| 1. პროფესიის შესახებ ინფორმაციის მართვა | 1. განმარტავს პროფესიის არსსა და პროფესიულ ვალდებულებებს<br>2. ჩამოთვლის დასაქმების შესაძლებლობებს<br>3. ახორციელებს კონკრეტულ სამუშაოებთან მიმართებაში არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნების იდენტიფიცირებას | სრულადაა ასახული შესრულების კრიტერიუმებში | გამოკითხვა |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 4. მოიძიებს დასაქმების შესაძლებლობებს, სამუშაო ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გავრცელების ძირითად არხებზე (საძიებო ვებ-გვერდები/შრომის ბირჟები) დაყრდნობით<br>5. აღწერს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ შრომითი ურთიერთობების ნორმებს | | |
| 2. კონკრეტულ პროფესიაში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპების აღწერა | 1. სწორად აყალიბებს კონკრეტული ორგანიზაციის შინაგანაწესით განსაზღვრულ პოლიტიკასა და წესებს და პროფესიული ეთიკის ნორმებს<br>2. აღწერს კონკრეტული ორგანიზაციის სტრუქტურას<br>3. ახორციელებს კონკრეტულ ორგანიზაციაში მოქმედი უსაფრთხოებისა და ჰიგიენის წესების იდენტიფიცირებას<br>4. სწორად აღწერს სამუშაო გარემოს მოწყობის ძირითად პრინციპებს<br>5. აღწერს შრომის ეფექტურობისთვის აუცილებელ პიროვნულ მახასიათებლებს<br>6. აღწერს ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ძირითად პრინციპებს | სრულადაა ასახული შესრულების კრიტერიუმებში | გამოკითხვა |
| 3. პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნების დასახვა და განხორციელება | 1. მკაფიოდ აღწერს საკუთარ შესაძლებლობებსა და ძლიერ მხარეებს, კონკრეტულ სამუშაო მოთხოვნებთან მიმართებით<br>2. ინსტრუქციის შესაბამისად ავსებს დასაქმებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას<br>3. შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას, ხელმძღვანელობს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ძირითადი ნორმებითა და რეგულაციებით<br>4. აღწერს პროფესიული თვით–განვითარებისა და პროფესიული ზრდის მნიშვნელობას. | დოკუმენტაცია: CV/რეზიუმე, სააპლიკაციო ფორმა, თანმხლები ან სამოტივაციო წერილი | პრაქტიკული დავალება |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 5. აყალიბებს პროფესიული ზრდისკენ მიმართულ კონკრეტულ მიზნებსა და თვით-განვითარების გეგმას | | |

3. დამხმარე ჩანაწერები .

3.1. სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის

| სწავლის შედეგი | თემატიკა | სწავლება-სწავლის მეთოდი/მეთოდები | შეფასების მეთოდი/მეთოდები | მტკიცებულება/მტკიცებულებები პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პორტფოლიოსთვის |
|---|---|---|---|---|
| 1. | • პროფესიის არსი და პროფესიული ვალდებულებები<br>• დასაქმების შესაძლებლობები<br>• შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ურთიერთობების ძირითადი ნორმები. | ლექცია<br>ლექცია დემონსტრირებით<br>სასწავლო ექსკურსია | ზეპირი გამოკითხვა, განხილვა, განმავითარებელი შეფასებების მიცემა, საშინაო დავალების შეფასება. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ მომზადებული მინი პრეზენტაცია - მონაცემთა გრაფიკული გამოსახულების ვარიაციები. | გამოკითხვა - ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება<br>ა) ზეპირი: პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ შევსებული ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და აუდიოჩანაწერი;<br>ბ) წერილობითი: პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი (ღია/დახურულ;ი ტესტი, ამოცანა, მაგალითის განხილვა), რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას<br>გ) ელექტრონულად ჩატარებული გამოკითხვა: ელექტრონულად შესრულებული ნამუშევარი, ან/და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ მომზადებული პრეზენტაცია, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას. |
| 2. | • შინაგანაწესის არსი და პროფესიული ეთიკის ნორმები | ლექცია<br>ლექცია | ზეპირი გამოკითხვა, განხილვა, | გამოკითხვა - ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | • ორგანიზაციის სტრუქტურ.<br>• უსაფრთხოებისა და ჰიგიენის წესები<br>• სამუშაო გარემოს მოწყობის პრინციპები<br>• შრომის ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანი პიროვნული მახასიათებლები<br>• ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ძირითადი პრინციპები | დემონსტრირებით სასწავლო ექსკურსია | განმავითარებელი შეფასებების მიცემა, საშინაო დავალების შეფასება. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ მომზადებული მინი პრეზენტაცია - მონაცემთა გრაფიკული გამოსახულების ვარიაციები. | ა) ზეპირი: პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ შევსებული ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და ვიდეოჩანაწერი ან/და აუდიოჩანაწერი;<br>ბ) წერილობითი: პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი (ღია/დახურულ;ი ტესტი, ამოცანა, მაგალითის განხილვა), რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას<br>გ) ელექტრონულად ჩატარებული გამოკითხვა: ელექტრონულად შესრულებული ნამუშევარი, ან/და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ მომზადებული პრეზენტაცია, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას. |
| 3. | • დასაქმებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება<br>• შრომითი ხელშეკრულება<br>• პროფესიულ სფეროში სწავლის ძირითადი შესაძლებლობები<br>• პროფესიული განვითარების შესაძლებლობები | ლექცია<br>ლექცია<br>დემონსტრირებით<br>პრაქტიკული<br>სავარჯიშო<br>კეთება<br>ინსტრუქტაჟით | პრაქტიკული მეცადინეობის დროს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ შესრულებული დავალებების შეფასება, განმავითარებელი შეფასებების მიცემა, საშინაო დავალების შეფასება. | **პრაქტიკული დავალება, პროდუქტი, როგორც მტკიცებულება**<br>პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ ამოხსნილი პრაქტიკული დავალებები/ამოცანების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ მომზადებული პრეზენტაცია. |

3.2. საათების განაწილების სქემა

| სწავლის შედეგები . | საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით | | | |
|---|---|---|---|---|
| | საკონტაქტო | დამოუკიდებელი | შეფასება | სულ |
| 1 | 13 | 2 | 1 | 50 |
| 2 | 19 | 2 | 1 | |
| 3 | 9 | 2 | 1 | |
| სულ | 41 | 6 | 3 | |

3.3. სასწავლო რესურსი

1. http://www.hr.ge/vacancies/vakansia-cv-dasaqmeba
2. http://www.forms.ge/cv-forma
3. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567
4. www.job.ge
5. www.jobs.ge
6. http://georgia.smetoolkit.org/georgia/ka/content/ka/55645/%E1%83%A8%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98

3.4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სწავლებისათვის:

საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

მოდულის განმახორციელებელი პერსონალი (იხ. დანართი 2)

ბსუ-ს და „ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ
ბათუმის
საჯარო ბიბლიოთეკას“ შორის 2021 წლის 04 მარტი
გაფორმებული მემორანდუმი
დანართი № 3

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

**საბიბლიოთეკო საქმე**

მოდული

# საწარმოო პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი

მოდულის სტატუსი: სავალდებულო

ბათუმი, 2020

## მოდული

1. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| სარეგისტრაციო ნომერი; | 0320202 |
| სახელწოდება: | საწარმოო პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი |
| გამოქვეყნების/ცვლილების თარიღი: | 28.07.2015/31.03.2020/24.04.2020 |
| მოცულობა კრედიტებში: | 12 |
| მოდულზე დაშვების წინაპირობა: | |
| მოდულის აღწერა: | მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:<br><br>ოპტიმალური შრომითი ურთიერთობების ჩამოყალიბება; სამუშაო გარემოს დამოუკიდებლად ორგანიზება; მიღწეული სწავლის შედეგების გამოყენებით პროფესიული ამოცანების დამოუკიდებლად შესრულება; შესრულებული სამუშაოს ჩაბარება. |

2. სტანდარტული ჩანაწერები

| სწავლის შედეგები | შესრულების კრიტერიუმები | კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები | შეფასების მიმართულება |
|---|---|---|---|
| 1. ოპტიმალური შრომითი ურთიერთობების ჩამოყალიბება | 1. სწავლობს ორგანიზაციულ მოწყობას კონკრეტულ პროფესიაში<br>2. ოპტიმალურად იყენებს კონკრეტულ სამუშაო გარემოში შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელ წესებს<br>3. მაქსიმალურად იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს<br>4. აყალიბებს ოპტიმალურ ურთიერთობებს კოლეგებთან, ასევე, გარეშე პირებთან.<br>5. მუშაობის პროცესში ხელმძღვანელობს თანასწორობასთან დაკავშირებული, მათ შორის, რასის, სქესის, ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური მრწამსის, პოლიტიკური შეხედულებების, შესაძლებობებისა და სხვა პრინციპებით | სრულადაა ასახული შესრულების კრიტერიუმებში | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით |
| 2. სამუშაო გარემოს დამოუკიდებლად ორგანიზება | 1. უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის ეფექტურ ორგანიზებას<br>2. ზედმიწევნით იცავს ორგანიზაციის ქონებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გამოყენების წესებს<br>3. ზედმიწევნით იცავს შრომის უსაფრთხოების წესებსა და სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს<br>4. ითვალისწინებს გარემოსდაცვით ნორმებს სამუშაო გარემოს ორგანიზებისას | სრულადაა ასახული შესრულების კრიტერიუმებში | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით |
| 3. მიღწეული სწავლის შედეგების გამოყენებით პროფესიული ამოცანების | 1. ოპტიმალურად ახორციელებს სამუშაოს დროში განაწილებასა და ვადების დაცვას | სრულადაა ასახული შესრულების კრიტერიუმებში | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით |

| | | | |
|---|---|---|---|
| დამოუკიდებლად შესრულება | 2. ხარისხის ნორმების შესაბამისად, იცავს ტექნოლოგიურ სიზუსტეს<br>3. სწორად იყენებს მასალებს, ხელსაწყოებსა და დანადგარებს<br>4. გადაჭრის პროფესიული ამოცანის შესრულების პროცესში წარმოშობილ პრობლემას<br>5. ასრულებს სამუშაოს უსაფრთხოებისა და სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვით | | |
| 4. შესრულებული სამუშაოს ჩაბარება | 1. ხარისხის ნორმების შესაბამისად ამოწმებსშესრულებულ სამუშაოს<br>2. აღმოჩენილი ხარვეზების შემთხვევაში სწორად ახორციელებს შესაბამისი პირის ინფორმირებას<br>3. მოქმედი ხარისხის ნორმების შესაბამისად, აღმოფხვრის ხარვეზებს<br>4. წესების დაცვით აბარებს შესრულებულ სამუშაოს<br>5. სწორად აკეთებს ჩანაწერებს შესრულებული სამუშაოს შესახებ<br>6. ეფექტურად ახორციელებს შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაციის წარდგენას | სრულადაა ასახული შესრულების კრიტერიუმებში | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით |

3. დამხმარე ჩანაწერები

3.1. სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის

| სწავლის შედეგი | თემატიკა | სწავლება-სწავლის მეთოდი/მეთოდები | შეფასების მეთოდი/მეთოდები | მტკიცებულება/მტკიცებულებები პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პორტფოლიოსთვის |
|---|---|---|---|---|
| 1. | • საპრაქტიკო ობიექტისა და თანამშრომლების გაცნობა<br>• ორგანიზაციული შინაგანაწესისა და | კეთება ინსტრუქტაჟით | დაკვირვება, პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისთვის განსაზღვრული პრაქტიკული დავალების | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება<br>პროფესიული განათლების მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | უსაფრთხოების ნორმების გაცნობა<br>• ორგანიზაციის დაგეგმილი ღონისძიებების გაცნობა<br>• ფუნქციების გადანაწილება<br>• პრაქტიკის შესახებ მტკიცებულებების შეგროვების შესახებ ინსტრუქტაჟის მიღება | | შესრულების პროცესზე დაკვირვება და შეფასება. | ფურცელი ან/და აუდიოჩანაწერი ან/და ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ დავალების შესრულების პროცესს. |
| 2. | • ორგანიზაციის სამოქმედო გეგმისა და სამუშაო გრაფიკის შესახებ ინფორმაციის მიღება<br>• ღონისძიების დაგეგმვისა და ორგანიზების საკითხებზე მუშაობა | კეთება ინსტრუქტაჟით | დაკვირვება, პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისთვის განსაზღვრული პრაქტიკული დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვება და შეფასება. | **პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება**<br>პროფესიული განათლების მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და აუდიოჩანაწერი ან/და ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ დავალების შესრულების პროცესს. |
| 3. | • კონკრეტული პროფესიული ამოცანების შესახებ ინსტრუქტაჟის მიღება<br>• პროფესიული ამოცანების შესრულება | კეთება ინსტრუქტაჟით | დაკვირვება, პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისთვის განსაზღვრული პრაქტიკული დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვება და შეფასება. | **პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება**<br>პროფესიული განათლების მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და აუდიოჩანაწერი ან/და ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ დავალების შესრულების პროცესს. |
| 4. | • სამუშაოს შემოწმებისა და ჩაბარების შესახებ | კეთება ინსტრუქტაჟით | დაკვირვება, პროფესიული | **პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ინსტრუქტაჟის მიღება.<br>• შესრულებული სამუშაოს დოკუმენტირების შესახებ ინსტრუქტაჟის მიღება.<br>• შესრულებულის სამუშაოს შესახებ პრეზენტაციის მომზადება. | | სტუდენტისათვის/მსმენელისთვის განსაზღვრული პრაქტიკული დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვება და შეფასება. | პროფესიული განათლების მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და აუდიოჩანაწერი ან/და ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ დავალების შესრულების პროცესს. |

3.2. საათების განაწილების სქემა

| სწავლის შედეგები | საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით | | | |
|---|---|---|---|---|
| | საკონტაქტო | დამოუკიდებელი | შეფასება | სულ |
| 1 | 65 | 0 | 0 | 300 |
| 2 | 65 | 0 | 0 | |
| 3 | 65 | 0 | 0 | |
| 4 | 65 | 30 | 10 | |
| სულ | 260 | 30 | 10 | |

3.3. სასწავლო რესურსი

N/A

**3.4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სწავლებისათვის:**

საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

მოდულის განმახორციელებელი პერსონალი (იხ. დანართი 2)